# ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №45**

**2011 წლის 11 ნოემბერი**

**ქ. ახმეტა**

## ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

**მუხლი 2.**

განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა (დანართი №1).

**მუხლი 3.**

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (რძე, რძის პროდუქტები, თევზი, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი, პური) გარე ვაჭრობა.

2. ქ. ახმეტაში აიკრძალოს ყველა სახის გარე ვაჭრობა შემდეგ ქუჩებზე:

ა) რუსთაველის ქუჩა;

ბ) ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა;

გ) ყაზბეგის ქუჩა;

დ) ლეონიძის ქუჩა;

ე) ილია ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთი (რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე);

ვ) ჭანტურიას ქუჩის მონაკვეთი (რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე);

ზ) აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთი (რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე).

**მუხლი 4.**

გარე ვაჭრობის დრო განისაზღვროს $5^{00}$ საათიდან $24^{00}$ საათამდე.

**მუხლი 5.**

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 17 ნოემბრის №32 დადგენილება.

**მუხლი 6.**

დადგენილება ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი**

***დანართი №1***

## გარე ვაჭრობისათვის ნებადართული საქონლის ნომენკლატურა

1. ჟურნალ-გაზეთები.
2. წიგნები.

3. ნახატები, სუვენირები და სხვა ხელნაკეთი ნივთები.

4. ყვავილები.

5. ხილ-ბოსტნეული – მაღაზიის წინ, ვერტიკალურ სტელაჟზე (თუ ხილ-ბოსტნეული არის მაღაზიის საკუთარი პროდუქცია, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებას მიღების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში).

6. სპეცდანიშნულების საფირმო მანქანებიდან კვების პროდუქტები (სანიტარიული პირობებით და სასაქონლო-ესთეტიკური იერსახით დაცული).

## სეზონური გარე ვაჭრობისათვის ნებადართული საქონლის ნომენკლატურა

1. გაზიანი გამაგრილებელი სასმელები და წყლები.
2. ნაყინი (სპეციალური მაცივრის მეშვეობით).
3. შეშა.
4. ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული.